

დადგენილება № ცფ-1034-23  
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის  
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

27 ივლისი, 2023 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2023 წლის 27 ივლისი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი მარინა გოგელაშვილი, პირადი № 60201165017, დაბ. 1958 წლის 30 სექტემბერს, მის.: ქ. ქუთაისი, იოანე პეტრიშვილის ქ. № 84, ტელ.: 579 32 28 28.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2023 წლის 14 ივლისს, ქ. ქუთაისში, იოანე პეტრიშვილის ქ. № 84-ში, აბონენტ ჯუმბერ გოგელაშვილის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მარინა გოგელაშვილს მეზობლის მრიცხველის შემყვან კაბელზე დაერთებული ჰქონდა არალეგალური სადენი, რომელიც შედიოდა მის საცხოვრებელ სახლში. შემოწმების დროს მრიცხველი მოხმარებულ ელექტროენერგიას არ აღრიცხავდა და დატაცებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენდა 1,2 ამპერ დენს, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედება. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე. მარინა გოგელაშვილის მიმართ 20.07.2023-წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №010566 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი, იგი აღიარებს სამართალდარღვევის არსებობას და აღნიშნავს, რომ ასეთი ფაქტი აღარ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. მარინა გოგელაშვილი არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 14.07.2023-წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A11555551 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომლებითაც დასტურდება მარინა გოგელაშვილის მიერ ელექტროენერგიის დატაცება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ამსახველი ვიდეოჩანაწერი), რომელთა მეშვეობით დგინდება მარინა გოგელაშვილის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერგიის დატაცება. ამასთან დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვიანი ვადა და 240-ე და 252-ე მუხლების პირველი ნაწილებით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც მარინა გოგელაშვილს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები, მან მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228<sup>2</sup>-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

#### დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი მარინა გოგელაშვილი, პირადი № 60201165017, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საქსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: \_\_\_\_\_

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცვევიჩის ქ. №19).



უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ტარიელ შვანგირაძე,  
კომისიის თავმჯდომარე